ხაშურის მოამბე

№5 (256) 10 თებერვალი, ორშაბათი 2020 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

4 თებერვალს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი უძღვებოდა. სხდომაზე განსახილველად სამი საკითხი იყო წარმოდგენილი, რომლებსაც საკრებულოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

სხდომაზე მოწვეულმა ა(ა)იპ „ხაშურის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" დირექტორმა დავით ჩიქოვანმა კორონავირუსთან არსებულ ვითარებასა და პრევენციის ზომებზე ისაუბრა. აღნიშნა, რომ საქართველოში ვირუსის გავრცელების რისკი მინიმალურია.

სხდომაზე, საკრებულოს წინაშე, 2019 წელს გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშით წარსდგა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი სერგო ლალიაშვილი(ანგარიშის სრული ვერსია იხილეთ გაზეთის დღევანდელ ნომერში).

საკრებულოს წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ და 2019 წელს, მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ გაწეული მუშაობა დადებითად შეაფასეს.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, მუნიციპალიტეტის დასახლებებში მოსახლეობის საერთო კრებები დასრულდა

844 ათასი ლარი-ესაა თანხა, რომელიც, წელს, ჩვენს მუნიციპალიტეტში, მთავრობის განკარგულებით, "სოფლების მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, დასახლებების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას უნდა მოხმარდეს. თუმცა, როგორც გასულ წელს, ეს თანხა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსებით, კიდევ უფრო გაიზრდება. დღეისთვის მუნიციპალიტეტის 71 დასახლებულ პუნქტში, უკვე დასრულდა სოფლის საერთო კრებები, სადაც ადგილობრივებმა თვითონ მიიღეს გადაწყვეტილება თუ რომელი პროექტის განხორციელება უფრო პრიორიტეტულია კონკრეტული სოფლისთვის. საერთო კრებებს ესწრებოდნენ და მოსახლეობას ხვდებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი, მერის მოადგილეები და მერიის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელი პირები. კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, შემუშავდება პროექტები და უახლოეს მომავალში, უკვე უშუალოდ პროექტების განხორციელება დაიწყება.

კორონავირუსი- ამ ეტაპზე, საგანგაშო სიტუაცია არ გვაქვს...

კორონა ვირუსთან დაკავშირებულმა ვნებათაღელვამ მთელი მსოფლიო მოიცვა, განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და საპრევენციო ღონისძიებებსაც ატარებს ქვეყნის მასშტაბით. დიდი ყურადღება ეთმობა იმ მუნიციპალიტეტებს, სადაც ჩინეთის მოქალაქეები ცხოვრობენ და ეწევიან შრომით საქმიანობას. რა მდგომარეობაა ჩვენს მუნიციპალიტეტში, ან არსებობს თუ არა გარკვეული საფრთხეები, ამის შესახებ კომენტარის გაკეთება ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის უფროსს **დავით ჩიქოვანს** ვთხოვეთ:

–ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 4 თებერვლის ანგარიშის მიხედვით, გლობალურად სულ დადასტურებულია კორონავირუსის 20 595 შემთხვევა საიდანაც, 20 438 დაფიქსირებულია ჩინეთში. 4 თებერვლის მონაცემებით, დაფიქსირებულია 425 სიკვდილის ფაქტი და გამოჯანმრთელების 632 შემთხვევა. დაღუპულთა 80% 60 წელს აღემატება, ხოლო 75%-ს თანმდევი დაავადება ჰქონდა. გარდაცვლილთა ორი მესამედი მამაკაცია. საქართველოს ტერიტორიაზე დაავადება არ დაფიქსირებულა. დღეიდან ლუგარის ლაბორატორიაში შესაძლებელია ყველა საჭირო კვლევის ჩატარება კორონავირუსის გამოსავლენად. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სამი ჩინური საამშენებლო კომპანია. ამჟამად ადგილზე დარჩენილია 20-25% მომსახურე პერსონალი. ყველა კომპანიაში გვქონდა შეხვედრები როგორც მენეჯერებთან, ასევე მუშებთან . დაურიგდათ სამენოვანი ფლაერები და პლაკატები. 31 იანვარს, ერთ-ერთ კომპანიაში, ჩამოვიდა ჩინეთიდან 15 მოსამსახურე, რომლებიც გადაყვანილი იქნა პირდაპირ სპეციალურად მოწყობილ საკარანტინოდ განკუთვნილ კოტეჯებში. 14 დღის განმავლობაში იქნებიან დაკვირვების ქვეშ, სრულ იზოლაციაში. ყოველდღიური კომუნიკაცია გვაქვს ყველა კომპანიის მენეჯერებთან და ვიღებთ სრულ ინფორმაციას.

საქართველოს მთავრობის დადგენილება #62

2020 წლის 30 იანვარი, ქ. თბილისი

სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2020 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ

მუხლი 1

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის, 22-ე მუხლისა და „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე2 პუნქტის საფუძველზე და სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა ორგანიზებულად გაწვევის მიზნით:

1. მოქალაქეთა 2020 წლის საგაზაფხულო გაწვევა განხორციელდეს 2020 წლის 3 თებერვლიდან 2020 წლის 30 ივნისამდე.

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 1400-ით.

3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 1328-ით.

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 950-ით.

5. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 311-ით.

6. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 200-ით.

7. საქართველოს თავდაცვის ძალებში, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურსა და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში გაწვეულ იქნენ 18-დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არ აქვთ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება.

8. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში, ამავე მუხლის მე-2 – მე6 პუნქტებით გათვალისწინებული უწყებების წერილობითი მოთხოვნების შემთხვევაში, სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2020 წლის საგაზაფხულო გაწვევის პროცესი შესაბამის უწყებაში შეიძლება შეწყდეს ამავე მუხლის მე-2 – მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებამდე.

9. 18-დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ვალდებულნი არიან, გამოცხადდნენ მუნიციპალიტეტის მერიის, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის (შემდგომში – თბილისის რაიონი) და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის (შემდგომში – აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობა) შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში (შემდგომში – მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობის სტრუქტურული ერთეული) რეგისტრაციის/ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

10. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ამ დადგენილების ამოქმედებიდან 10 დღის ვადაში განსაზღვროს ის სამედიცინო დაწესებულებები, რომლებშიც გაიგზავნებიან წვევამდელები დამატებითი სამედიცინო გამოკვლევისათვის.

11. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების მოსაკრებლის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში, მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობის გამწვევი კომისიის მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში.

12. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ადგილებზე აღმოუჩინოს დახმარება მუნიციპალიტეტის/აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობის სტრუქტურულ ერთეულებს იმ წვევამდელთა მოძებნასა და მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობის გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

13. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ კოორდინაცია გაუწიოს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესს.

მუხლი 2 დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 3 თებერვლიდან.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია

მერის ბრძანება

№ 278 03 / თებერვალი / 2020 წ.

სამხედრო სავალდებულო სამსახურში ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა 2020 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ მე–20-ე, 21–ე, 22–ე, 23–ე, 24–ე, 25-ე, 28–ე მუხლების და საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 იანვრის № 62 დადგენილების „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2020 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ თანახმად, სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად მოწყობის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურის გასავლელად 2020 წლის საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში საქართველოს შეიარაღებულ ძალებში გეგმა-გრაფიკის შესაბამისად მოხდეს წვევამდელთა გაწვევა;

2. სამხედრო ძალებში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გაწვეულ იქნან ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18–დან 27 წლამდე ასაკის წვევამდელები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, არ აქვთ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევისგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება;

3. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან გადავადების მოსაკრებელის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში, მუნიციპალიტეტის გამწვევი კომისიის მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში;

4. ეთხოვოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ხაშურის რაიონულ სამმართველოს, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 იანვრის № 62 დადგენილების „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2020 წლის საგაზაფხულო გაწვევის შესახებ“ პირველი მუხლის მე-12-ე პუნქტის შესაბამისად, აღმოუჩინოს დახმარება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს - სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს იმ წვევამდელთა მოძებნასა და გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს;

5. დამტკიცდეს გამწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე:

გიორგი გურასპაშვილი – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი;

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

მიხეილ ბარბაქაძე – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხელმძღვანელი;

კომისიის წევრები:

გიორგი კაპანაძე – შსს ხაშურის რაიონული სამმართველოს წარმომადგენელი;

პავლე გაგნიძე – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი;

ვასილ არჩვაძე – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის სპეციალისტი;

ვასილ მახარობლიძე – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის სპეციალისტი; კომისიის მდივანი:

ოლგა სიდიროპულო – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის სპეციალისტი.

6. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 იანვრის № 62 დადგენილების შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18–დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ვალდებულნი არიან 2020 წლის 03 თებერვლიდან 2020 წლის 30 ივნისამდე გამოცხადდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში;

7. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18–დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებიც სარგებლობენ სამხედრო სამსახურში გაწვევისგან გადავადებით საქართველოს კანონის “სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ” 30-ე მუხლის პირველი პუნქტის “ლ” ქვეპუნქტით (მღვდელმსახური ან სწავლობს სასულიერო სასწავლებელში) გათვალისწინებული საფუძვლების გაუქმების შემთხვევაში ვალდებულნი არიან საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში გამოცხადდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში;

8. ბრძანება გამოქვეყნდეს ადგილობრივ პრესაში;

9. ბრძანება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურულ ერთეულს - სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს;

10. ბრძანება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით;

11. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ხაშური, კოსტავას ქ. №15) ერთი თვის ვადაში.

მერი გიორგი გურასპაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №39 დადგენილების საფუძველზე, როგორც მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული, უზრუნველყოფს ეკონომიკური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება-დამუშავებას, მუნიციპალიტეტის სივრცითი ტერიტორიული დაგეგმვისა და ქალაქმშენებლობის დოკუმენტების შემუშავებას, მშენებლობის ნებართვის თაობაზე გადაწყვეტილების მომზადებას, მუნიციპალიტეტის ქონების მართვას.

სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, მერიის დებულების, ეკონომიკური განვითარების სამსახურის დებულების და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად. სამსახური შედგება მეორადი სტრუქტურული ერთეულებისგან-განყოფილებებისაგან:

- ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილება;
- მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილება;
- სივრცითი მოწყობის და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილება.

ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილება

ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილება, როგორც მოგეხსენებათ, მუშაობს ინფრასტრუქტურული პროექტების შემუშავებაზე და ახორციელებს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგს და შეფასებას, ასევე, ობიექტის მიღება-ჩაბარების მიზნით, თითოეული ინფრასტრუქტურული პროექტის ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის ზედამხედველობას.

2019 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა შეადგენდა 170-ს. აქედან:

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით განხორციელდა - 6 პროექტი, რომელთა სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 5 747 484,08 ლარს;.

1. ბიჯნისის წყლის სათავე ნაგებობის, მაგისტრალის, რეზერვუარისა და გასახლებების ჯგუფური მიწოდების სისტემების მოწყობა - 605 264 ლ. (გარდამავალი პროექტი დასრულდება 2020 წელს).
2. დაბა სურამში ჩუმათელეთის დასახლებაში თამარ მეფის პირველი და მესამე ჩიხების მოასფალტება - 658 757 ლ. სახელშეკრულებო ღირებულებით.
3. სოფელ ვაყაში გზის მოასფალტება - 1 409 614 ლ. სახელშეკრულებო ღირებულებით.
4. სოფელ ხცისიდან სოფელ კრისხევმდე გზის მოასფალტება - 827 550,83 ლ. სახელშეკრულებო ღირებულებით.
5. ქ. ხაშურში ბორჯომის ქუჩაზე ავტომაგისტრალის გასწვრივ ღობეების მოწყობა - 960 875,25 ლ. სახელშეკრულებო ღირებულებით.
6. სოფელ მცხეთიჯვრიდან სოფელ წაღვლამდე გზის მოასფალტება (გარდამავალი პროექტი) – 1 285 423 ლ. სახელშეკრულებო ღირებულებით.

ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსდა - 45 პროექტი, რომელთა სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 2 156 549 ლარს -

ხაშურის მუნიციპალიტეტის ანგარიშზე მთავრობის განკარგულების პროექტებიდან ნაშთად არსებული გასული წლების თანხების გაერთიანების საფუძველზე, დაფინანსდა 9 პროექტი, რომელთა სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 420 035,73 ლარს.

1. ქ. ხაშურში, ვაჟა ფშაველას ქუჩაზე მინი სტადიონის და სკვერის მოწყობა - 72 386,99 ლ. სახელშეკრულებო ღირებულებით.
2. ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში მინი სტადიონის მოწყობა - 46 629,99 ლ. სახელშეკრულებო ღირებულებით.
3. ქ. ხაშურში „ვეფხვაძეების უბანში" მინი სტადიონის მოწყობა - 59 221,76 ლ. სახელშეკრულებო ღირებულებით.
4. ქ. ხაშურში ტაბიძის ქუჩაზე არსებული მინი სტადიონის რეაბილიტაცია - 73 492 ლ. სახელშეკრულებო ღირებულებით.
5. ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ტეზერში ამბულატორიის მოწყობა - 45 595,2 ლ. სახელშეკრულებო ღირებულებით.
6. ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია - 32 686 ლ. სახელშეკრულებო ღირებულებით.
7. დაბა სურამში, პუშკინის ქუჩაზე, სანიაღვრე არხის მოწყობა - 30 890,7 ლ. სახელშეკრულებო ღირებულებით.
8. ქალაქ ხაშურში, თევდორე მღვდლის ქუჩაზე, სანიაღვრე არხის მოწყობა - 18 392 ლ. სახელშეკრულებო ღირებულებით.
9. სოფელ ვაყაში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები - 407 41,09 ლ. სახელშეკრულებო ღირებულებით.

სტიქიის პრევენციის სახელმწიფო დაფინანსების მიზნით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის 557 განკარგულების საფუძველზე, განხორციელდა 2 პროექტი, რომელთა სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 878 666,62 ლარს;

1. ქალაქ ხაშურში, მდინარე სურამულას ნაპირსამაგრი კედლების გამაგრება რეაბილიტაცია - 483 996,85 ლ. სახელშეკრულებო ღირებულებით.
2. დაბა სურამში მდინარე სურამულაზე მარცხენა სანაპიროს გამაგრება - 394 669,77 ლ. სახელშეკრულებო ღირებულებით.

2019 წელს, პირველად საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულების (გამოყოფილი თანხა შეადგენდა 910 000 ლარი) საფუძველზე, განხორციელდა საჯარო სკოლების მცირე ინფრასტრუქტურული პროექტები - სულ 24 სკოლის რეაბილიტაციის პროექტი 1 011 639,85 ლარის სახელშეკრულებო ღირებულებით - დანართი 5

ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის (ამბულატორიები) ფარგლებში განხორციელდა 6 პროექტი, 178 871.1 ლარის სახელშეკრულებო ღირებულებით (საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №554 განკარგულება-

1. სოფელ კრისხევის ამბულატორიის რეაბილიტაცია - 45 553,71 ლ.
2. სოფელ წრომის ამბულატორიის რეაბილიტაცია -59 624,97 ლ.
3. სოფელ ალის ამბულატორიის რეაბილიტაცია - 36 999,91 ლ.
4. სოფელ ფლევის ამბულატორიის რეაბილიტაცია - 10 888,74 ლ.
5. სოფელ ნაბახტევის ამბულატორიის რეაბილიტაცია - 16 227,27 ლ.
6. სოფელ ცხრამუხის ამბულატორიის რეაბილიტაცია - 9 576,5 ლ.

სოფლის მხარდაჭერის პოგრამის ფარგლებში, დაფინანსდა - 78 პროექტი, რომელთა სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 1 045 419,94 ლარს. (საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის №45 განკარგულება).

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით დაფინანსდა 1 პროექტი - ქ. ხაშურში ცენტრალური საფეხბურთო სტადიონის მშენებლობა, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 5 980 862 ლარს, თანადაფინანსება 1 196 172 ლარი. (პროექტი გარდამავალია და დასრულდება 2020 წელს).

2020 წელს დაგეგმილია და გაგრძელდება ზემოთაღნიშნული პრიორიტეტების ფარგლებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები, მათ შორის:

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით:

1. ბიჯნისის წყლის სათავე ნაგებობის და ქსელის მშენებლობა - 798 501 ლ. (ხელშეკრულება გაფორმებულია NAT190000468);
2. სოფელ მცხეთიჯვრიდან სოფელ წაღვლამდე გზის მოასფალტება - 1 485 928 ლ. (ხელშეკრულება გაფორმებულია NAT190010587);
3. დაბა სურამში გოგებაშვილის ქუჩის მოასფალტება - 496 861 ლ. (NAT190025850, შპს „ქროსპოინტი" მოწვეულია ხელშეკრულების გასაფორმებლად 10 თებერვალს);
4. დაბა სურამში ნინოშვილის ქუჩის მოასფალტება - 245 633 ლ. (NAT190025853, მიმდინარეობს შერჩევა შეფასება).
5. დაბა სურამში ტალახაძის ქუჩის მოასფალტება - 384 467 ლ. (NAT190025854 მიმდინარეობს შერჩევა შეფასება);
6. სოფელ მიწობში გზის მოასფალტება - 299 379 ლ. (NAT190025855, მიმდინარეობს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება);
7. დაბა სურამში მშვიდობის ქუჩის მოასფალტება- 1 368 356 ლ. (NAT190025861, მიმდინარეობს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება);
8. სოფელ ჩორჩანამდე მისასვლელი გზის მოასფალტება (მაღალმთიანი) – 1 196 949 (საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია საექსპერტო დასკვნით მზად არის ველოდებით თანხის გამოყოფას)

სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამით:

1. დაბა სურამში მდინარე სურამულას მარჯვენა სანაპიროს კედლების მოწყობა/რეაბილიტაცია - 491 000 ლ. (საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია საექსპერტო დასკვნით მზად არის, წარდგენილია დაფინანსებაზე.

ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით:

1. დაბა სურამში ჭონქაძის ქუჩის მოასფალტება - საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ექსპერტიზის დასკვნით მზად არის უახლოეს დღეებში გამოცხადდება ტენდერი.
2. დაბა სურამში სარაჯიშვილის ქუჩის მოასფალტება - NAT200002172, ტენდერი გამოცხადებულია;
3. დაბა სურამში ტაბიძის ქუჩის მოასფალტება - NAT 200001300 ტენდერი გამოცხადებულია;
4. სოფელ ზემო აძვისში გზის მოასფალტება - NAT 200002168 ტენდერი გამოცხადებულია;
5. ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მშენებლობა - NAT 200000396, გამარჯვებული მოწვეულია ხელშეკრულების გასაფორმებლად.
6. კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია - საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია ექსპერტიზის დასკვნით მზად არის უახლოეს დღეებში გამოცხადდება ტენდერი
7. ქ.ხაშურში და დაბა სურამში სკვერების მოწყობა - მიმდინარეობს პროექტირება
8. სოფელ ნაბახტევში, დაბა სურამში მინისტადიონების მშენებლობა (მიმდინარეობს პროექტირება);
9. სოფელ მცხეთიჯვარში სტადიონის მოწყობა(მიმდინარეობს პროექტირება);
10. მდინარე სურამულას კალაპოტის წმენდა (მიმდინარეობს პროექტირება).

ამჟამად მიმდინარეობს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის, საჯარო სკოლების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების შესწავლის პროცესი.

(დასასრული IV გვერდზე)

(დასასრული)

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილება თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესახებ“ ორგანული კანონის; საქართველოს მთავრობის 08.12.2014წ. №669 და 20.02.2014წ. №189 დადგენილებების, ეკონომიკური განვითარების სამსახურის დებულების და მოქმედი კანონმდებლობების შესაბამისად. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის, მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების მიერ გატარებული ღონისძიებებისა და პროცედურების შესაბამისად 2019 წელს დასრულდა ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების და ა(ა)იპ ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების-საბავშვო ბაღების გაერთიანების ინვენტარიზაცია. მოქალაქეთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების მოთხოვნათა ელექტრონულ ბაზაში 2019 წელს შეყვანილია -30 ბენეფიციარი.

2019 წელს წიაღის ეროვნული სააგენტოდან შემოსულია 24 მომართვა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე. მოთხოვნების უმრავლესობა დაკმაყოფილებულია.

2019 წლის იანვრის თვეში,გამოცხადდა ელექტრონული აუქციონი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხაშურის ცენტრალური სტადიონის დემონტაჟის შედეგად სავარაუდოდ მისაღები მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი სამშენებლო მასალების პრივატიზების შესახებ, აუქციონი შედგა და გაყიდული ქონების სრული საპრივატიზებო საფასური შეადგენს 68000 ლარს. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხაშურში, იმერეთის ქუჩაზე მდებარე (ს/კ 69.08.60.366) უძრავ ქონებაზე ელექტრონული აუქციონი შედგა, ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური შეადგენდა 75 000 ლარს, აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ შემოთავაზებული იყო 209 000 ლარი. ასევე შედგა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. ტაშისკარში მდებარე (მიწის (უძრავი ქონების) ს/კ 69.06.63.023) ელექტრონული აუქციონი, გაყიდული ქონების საპრივატიზებო საფასური შეადგენს 17500 ლარს. ელექტრონული აუქციონი არ შედგა ხაშურში,ბექაურის ქუჩაზე მდებარე (ს/კ 69.08.65.021) უძრავ ქონებაზე. სექტემბრის თვეში გამოცხადდა ელექტრონული აუქციონი, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხაშურში, სტალინის ქუჩაზე მდებარე (ს/კ 69.08.66.017) უძრავ ქონებაზე, ელექტრონული აუქციონი შედგა, ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური შეადგენდა 55 000 ლარს, აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ შემოთავაზებული იყო 89 000 ლარი. აუქციონი გამოცხადდა და არ შედგა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხაშურში, სოფ. ცხრამუხაში მდებარე (ს/კ 69.11.56.291) უძრავ ქონებაზე. მომზადდა საპრივატიზებო და სარგებლობის უფლებით გადასაცემი ობიექტების ნუსხა და დოკუმენტაციის შესაბამისი პაკეტი, რომელთა გაცემა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით განხორციელდება ელექტრონული აუქციონის წესით.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის №189 დადგენილებით, კანონიერი მოსარგებლისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არა იზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის შესაბამისად, 2019 წელს მომზადდა 6 პროექტი. აქედან 2 განცხადებაზე მომზადდა უარის ბრძანების პროექტი, 4 განცხადება დაკმაყოფილდა და გაიცა ბინის საკუთრების უფლების მოწმობა.

უძრავი ქონების იჯარის ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით, ხაშურის სასეირნო პარკში ატრაქციონების განსანთავსებლად, გაფორმდა ხელშეკრულება, იჯარით გასაცემი ფართის შესახებ. იჯარით გაიცა შემდეგი ობიექტები:

1. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებული (ს/კ 69.08.58.209.01.514) უძრავი ქონებიდან 23,10 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი შპს „ალვა-2008“-ის განსათავსებლად. ყოველთვიური საიჯარო თანხა შეადგენს 150 ლარს.
2. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხაშურში, სოფელ ქვიშხეთში მდებარე უძრავი ქონებიდან (ს.კ 69.06.62.129) 20კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი სს „სილქნეტი“- სათვის სატელეკომუნიკაციო სადგურის განსათავსებლად, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 2 წლის ვადით. ყოველთვიური საიჯარო თანხა შეადგენს 100 ლარს.
3. სს „სილქნეტს“ (ს/ნ 204566978) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 2 წლის ვადით გადაეცა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხაშურში, ტაბიძის ქ.№2-ში მდებარე 125 კვ.მ. უძრავი ქონებიდან (ს/კ 69.08.58.209.01.504) 17,3 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი მობილური კავშირგაბმულობის საბაზო სადგურისათვის და 2 კვ.მ. სახურავზე ანტენების განსათავსებლად. ყოველთვიური საიჯარო თანხა შეადგენს 600 ლარს.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან დამატებითი ქონების სახით გადმოგვეცა უძრავ-მოძრავი ქონება (ს/კ 69.02.59.128; ს/კ 69.01.64.153; ს/კ 69.13.55. 445; ს/კ 69.09.57.010; ქვიშხეთში მდებარე 1240 კვ.მ. მიწის ნაკვეთი) და 50 ცალი პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერი.

გაფორმდა ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტებით გადაცემული იქნა სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შემდეგი უძრავი ქონებები: 1. ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებისთვის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხაშურში ძნელაძის ქ. №10-ში მდებარე უძრავი ქონება (69.08.58.183);

2. სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლისთვის, ხაშურში, სააკაძის ქ. №18- ში მდებარე უძრავი ქონება (69.08.59.226);
3. კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანებისთვის, ხაშურში, კოსტავას ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონება;
4. სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების-სამუსიკო სკოლების გაერთიანებისთვის, სოფ. ქვიშხეთში მდებარე ს/კ 69.06.62.129 უძრავი ქონება. 5. საბავშვო ბაღების გაერთიანებისთვის უძრავი ქონებები (გაერთიანებაში დაქვემდებარებული საბავშვო ბაღები).

6. ა(ა)იპ „სამუზეუმო გაერთიანება“-ს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით გადაეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვიშხეთში მდებარე უძრავი ქონებიდან (საკადასტრო კოდი №69.06.62.275) შენობა-ნაგებობა №01(2) 731,5 კვ.მ.

7. სსიპ „იურდიული დახმარების სამსახურ“-ს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 წლის ვადით გადაეცა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ხაშურში, კოსტავას ქ. №11-ში მდებარე უძრავი ქონებიდან (ს/კ 69.08.58.036) 19.04 კვ.მ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურდიულ პირებზე გადაცემული იქნა აგრეთვე, სარგებლობის ფორმით სხვადასხვა უძრავ-მოძრავი ქონება. მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილებაში, 2019 წელს, მერის რეზოლუციით, დაგვეწერა 2157- მდე კორესპონდენცია, რომლის 95 % შესრულებულია.

სივრცითი მოწყობის და არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის რეგულირების განყოფილება

მოქალაქეთა მიერ შემოტანილი განცხადებების საფუძველზე განხილული და დამტკიცებული იქნა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები - 110 შემდგომში ნებართვების მისაღებად, შეთანხმებულია - I კლასის ობიექტების მშენებლობის 116 პროექტი, შეთანხმებულია დოკუმენტაცია მიწის ნაკვეთის კატეგორიის ცვლილების შესახებ - 18, დადგინდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საზღვრები - 15, შესრულდა მიწის გაყოფისა და გაერთიანების 212 განცხადება, პასუხი გაეცა ფიზიკური და იურიდიული პირებისგან შემოსულ მრავალ განცხადებას.

გაიცა მშენებლობის 96 ნებართვა, მათ შორის: ხაზობრივ ნაგებობებზე - 9, საცხოვრებელ სახლებზე - 22, კომერციულ ობიექტებზე - 22, დემონტაჟი - 7, რეკონსტრუქცია - 12, სასაწყობე შენობებზე - 3, ავტოფარეხი - 1, დამხმარე სათავსო - 3, ავტოტექმომსახურეობა - 8, ფერმა - 5, ცენტრალური სტადიონი 1, ავტოსამრეცხაო - 1, საბაზო სადგური - 1, საცურაო აუზი - 1.

მათ შორის მოცულობით დიდი ობიექტებია:

1. საცხოვრებელი კომპლექსი;
2. ცენტრალური სტადიონი;
3. დაბა სურამში ბაიანთხევისა და გვერდისუბნის დასახლების წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია;
4. საქმიანი ეზო;
5. საბაზო სადგური და 45 - მეტრიანი ანძა;
6. სხვადასხვა სატელეფონო კომუნიკაცია;
7. საშუალო წნევის გაზსადენი სოფელ გომში და აგარებში;
8. კომერციული (სასაწყობე-მაცივარი) ობიექტი;
9. კომერციული (სავაჭრო) ობიექტი- 6;
10. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სადგომი- 3;
11. „პისი მაქსი“ - ს საკომუნიკაციო არხის მშენებლობა;

მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა - 56 630 ლარი.

რაც შეეხება დაბა სურამის განაშენიანების და დაბის ცენტრალური უბნის დეტალური გეგმის დამუშავებას, საკრებულოს სხდომებზე მოხდა მისი განხილვა და მერის მიერ, ინიცირების წესით, მთავრობისადმი მიმართვა, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო და პრემიერ-მინისტრის განკარგულების საფუძველზე ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გამოაცხადა ტენდერი განაშენიანების გეგმის საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავებაზე. ტენდერში გაიმარჯვა შპს „ურბანიკა“-მ , რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება, დავალების პირველი ორი სტადია გავლილი და დამუშავებულია, მოხდა ამ სამუშაოების გაცნობა, როგორც მერიის პასუხისმგებელ პირებთან, ასევე უზრუნველყოფილია დაბა სურამის მოსახლეობის და დაინტერესებული პირების ჩართულობაც. განაშენიანების გეგმის საბოლოო ვერსია გამოქვეყნდება და დასამტკიცებლად წარედგინება ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმდინარე წლის ბოლომდე.

სერგო ლალიაშვილი,
ეკონომიკური განვითარების სამსახურის
ხელმძღვანელი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“2019 წ.#41,42,44,45,46,47,„ხმ“, 2020 წ.#2,3,4)

ხაშურის მუნიციპალიტეტის საფორტიპიკაციო ნაგებობები

იმავე ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, „ვინაიდგან არღარავინ ჰყავდათ წინააღმდეგომნი ოსმალთა, აღწერეს ქართლი სრულიად“. ოსმალებმა აღწერის შემდეგ, დაპყრობილი ქართლიდან სახელმწიფო შემოსავლის გაზრდის მიზნით, შემოიღეს ახალი გადასახადები. ამავე დროს არ გააუქმეს მანამდე არსებული ადგილობრივი გადასახადები, რაც მეტად აუტანელ მდგომარეობას ქმნიდა ქვეყანაში „და ამის გამო იქმნა ჭირი დიდი“.

ოსმალები ყოველმხრივ ცდილობდნენ მორჩილებაში ჰყოლოდათ ქართველი დიდებულებიც. შემორჩენილია ოსმალეთის სულთნის 1732 წლის სექტემბერში ქართველი დიდებულების სახელზე გამოგზავნილი წერილი, რომლითაც იგი მათგან ერთგულებასა და მორჩილებას მოითხოვს. სულთანი მათ ავალებს ოსმალთა ადგილობრივ მოხელეებთან - ისჰაკ და იუსუფ ფაშეფთან მჭიდრო ურთიერთობას, მათთან შეთანხმებულ მოქმედებას. სულთანი ავალდებულებდა ქართველ დიდებულებს დამორჩილობოდნენ მოხელეთა განკარგულებებსა და ბრძანებებს. სხვათა შორის, წერილში ნათქვამია, რომ მათ ისეთივე თავდადება და გულმოდგინება უნდა გამოიჩინონ, როგორც ამას ისინი ლეკთა „ბრბოებისგან თავდაცვასა და (მათთან) ბრძოლებში“ იჩენენ. ეს ის პერიოდია, როცა ოსმალების წინააღმდეგ ირანი აქტიურად იყენებს ლეკებს, ხოლო ოსმალეთი თვლის, რომ იგი ვალდებულია დაიცვას თავისი სამფლობელოები, თუნდაც ერთმორწმუნე ლეკებისაგან. ამ მხრივ სიტუაცია საგრძნობლად შეიცვალა, როცა ქართლ-კახეთში „ყიზილბაშობა“ დამყარდა და ახლა ოსმალები სპარსელების წინააღმდეგ აქტიურად იყენებდნენ ლეკებს. წერილში, სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად, მოიხსენიება ზემო ქართლის ისეთი ცნობილი თავადი, როგორიც იყო ვახუშტი აბაშიძე.

ოსმალეთის სულთნის წერილში ნათქვამია: „ქრისტიანი ხალხის წარჩინებულთა სიამაყენო, თბილისის ეიალეთის მკვიდრნო, ამილახვრიშვილო გივი და ქსნის ერისთავო და კარაკალკანის ერისთავო და აბაშიძევ და თარხნიშვილო და ყაფლანიშვილო და სხვა თავადებო და აზნაურებო, - იმატოს მათმა მორჩილებამ -, როდესაც მაღალი და უზენაესი ფირმანი თქვენთან მიაღწევს, იცოდეთ, რომ პატივცემული დესთური, დიდებული მუშირი ქვეყნის მომწესრიგებელი, ამჟამად თბილისის ციხისთავი, ვეზირი ჩემი ისჰაკ ფაშა და ჩილდირის ვალი თოფრაკ აღჯა ყალას ციხისთავი ვეზირი ჩემი იუსუფ ფაშა - მაღალმა ალლაჰმა დღეგრძელ ჰყოს დიდებულება ორთავესი - სრულყოფილად იცნობენ მაგ მხარეების ყოველგვარ ვითარებას და შეუძლიანთ ადვილად გაართვან თავი ყველა საქმეს. ამიტომ მაგ სანახების დაცვის საქმე დაკისრებული აქვთ ზემოხსენებულ (ფაშებს). თქვენ რომ ზემოხსენებული (პირები) ხართ, უფლებამოსილება გეძლევათ საჭიროების შემთხვევაში იმოქმედოთ ყველა თქვენ თავადთან და აზნაურთან ერთად ზემოხსენებული ვეზირების შეურყეველ თვალსაზრისთა საფუძველზე. ახლა ჩემი მაღალღირსეული ფირმანი გამოვიდა მასზე, რომ ეს პატიოსანი და ღირსეული ჩემი ბრძანება თქვენთან, რომ მიაღწევს, თქვენ, ზემოხსენებული პირები რომ ხართ, თქვენი უფლებამოსილების ფარგლებში და საჭიროებისამებრ ყველა თავადი და აზნაური ჩემს მაღალ სამსახურში ზემოხსენებული ვეზირების განკარგულებებსა და ბრძანებებს დაემორჩილეთ და შეასრულეთ. და როგორც ლეკთა ბრბოებისაგან თავდაცვასა და (მათთან) ბრძოლებში, ისე სხვა საქმეებშიც სულითა და გულით მთელი თქვენი ძალ-ღონე, ბრძლის უნარიანობა და შესაძლებლობა არ დაზოგოთ. ვბრძანებ, რომ, როდესაც ფირმანი თქვენამდე მიაღწევს, იმოქმედეთ ზემოაღნიშნულის მიხედვით და გაცემული პატივმოსილი ფირმანის შესაბამისად, რომლის შესრულება და მორჩილება სავალდებულოა. მის საწინააღმდეგო ქმედობათაგან თავი შეიკავეთ. ასე იცოდეთ. ჩემს პატიოსან ნიშანს ენდეთ“.

წერილიდან ჩანს, რომ ოსმალთა დამკვიდრების პარალელურად ქართლში უკვე ადგილი აქვს ლეკთა განუწყვეტელ თარეშს, რომელმაც რეგულარული ხასიათი სურამის მხარეში სწორედ XVIII საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისიდან მიიღო. კერძოდ, სანამ დაიწრებოდა ოსმალეთის სულთნის ზემოთ მოტანილი წერილი.

სურამ-ხაშურის რეგიონი, ჯერ როგორც ქართლის სამეფოს, ხოლო შემდეგ ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს ნაწილი, არაერთხელ გამხდარა მოთარეშე ლეკთა თავდასხმის ობიექტი.

ქვეყანაში ლეკთა საუკუნოვანი თარეში, რომელიც ისტორიაში ლეკიანობის სახელითაა ცნობილი, განსაკუთრებით მძიმე ტვირთად აწვებოდა საქართველოს მწარმოებლურ მოსახელობას. მათი განუწყვეტელი თავდასხმები ანადგურებდა და არბევდა, აჩანაგებდა ქვეყანას. „მრავალი შემოსევა განუცდია საქართველოს თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, - აღნიშნავს აკად. ნ. ბერძენიშვილი, - მრავალი დამპყრობელი მისდგომია მის კარს. არაერთხელ უტარებია ქართველ ხალხს აგრესორთა მძიმე უღელი. სხვადასხვაგვარად განუცდია ჩვენი ქვეყანა მოძალადე-დამპყრობელთა ექსპლუატაცია. ყველა ესენი, ზოგი უფრო მეტად, ზოგი უფრო ნაკლებად, აფერხებდა საქართველოს საზოგადოებრივ განვითარებას. მაგრამ არცერთი შემოსევა ლეკიანობას არ ჰგავდა“.

სურამ-ხაშურის რეგიონში შემოსასვლელად ლეკები რამდენიმე გზით სარგებლობდნენ. შემოდიოდნენ შიდა ქართლიდან, სამხრეთ საქართველოდან გადმოდიოდნენ თრიალეთის ქედზე ძამის ხეობით, აქედან საციციანოს მოთარეშების შემდეგ, სხვა ადგილებშიც აღწევდნენ. იმერეთიდან ციხისძირისა და ფონის გზებით სარგებლობდნენ. განსაკუთრებით მძიმე თავდასხმებს აწყობდნენ ლეკები ბორჯომის ხეობიდან ტაშისკარზე გამოვლით. ახალციხის საფაშო ლეკების ბუდეთ იყო გადაქცეული, ადგილობრივი ფაშებიც გულმოდგინედ უმართავდნენ ხელს საქართველოზე წამოსულ ლეკთა ბრბოებს. ხშირად თვით ოსმალებიც არ თაკილობდნენ ლეკებთან ერთად თავდასხმებს და გაერთიანებული ძალებით შემოდიოდნენ საქართველოში.

ლეკიანობის დროინდელი კოშკები დღემდეა შემორჩენილი ხაშურში, ქვიშხეთში, ცხრამუხასა და სხვაგან. მოსახლეობა ლეკების შემოსევის დროს ამ კოშკებში აფარებდა თავს. ამავე მიზნით იყენებდნენ ისეთ ცნობილ ციხეებს, როგორებიც არის სურამის, ალის, ციხისძირის (ბულბულისციხის) და სხვა. არაერთხელ გამართულა ამ კოშკებთან თუ ციხეებთან ქართველთა და ლეკთა შორის სისხლისმღვრელი ბრძოლები, რაზედაც არაერთ ცნობას გვაწვდის ქართული თუ უცხოური საისტოროო წყაროები. თითქმის არ დარჩენილა რეგიონის არცერთი სოფელი რომელსაც ლეკების მძიმე და ამაოხრებელი შემოსევა არ განეცადოს. ამ მოვლენამ თავისი გამოძახილი ჰპოვა ლეგენდებსა და თქმულებებში, რომლებიც დღემდეა შემორჩენილი მოსახელობაში.

ლეკიანობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ დასაყრდენ პუნქტად ზემო ქართლში XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან სურამი და მისი ციხე-სიმაგრე გვევლინება. ლეკები სურამ-ხაშურის რეგიონში, როგორც ჩანს, პირველად XVIII საუკუნის 20-იან წლებში გამოჩნდნენ, მაშინ როდესაც ქართლი ოსმალებმა დაიპყრეს, მაგრამ ლეკთა თავდასხმებმა, როგორც ზემოთ ითქვა, განაკუთრებით ინტენსიური ხასიათი XVIII საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისიდან მიიღო, რამაც გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა რეგიონს, ბევრი დასახლებული პუნქტი გაუკაცრიელდა და ნასოფლარად იქცა. მდგომარეობა არც „ყიზილბაშობის“ პერიოდში შეცვლილა. მით უფრო, რომ ქართლიდან განდევნილი ოსმალები აქეზებდნენ და ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ ლეკების შემოსევებს. 40-იანი წლების პირველ ნახევარში, ოსმალების ხელშეწყობით, ლეკები გივი ამილახორის ცნობილ აჯანყებაშიც აქტიურად მონაწილეობენ. ისინი მასთან ერთად არიან გამაგრებული სურამის ციხეში და თუ საშუალება მიეცემოდათ ხალისით არბევდნენ არა მარტო რეგიონის, არამედ მისგან დაშორებულ დასახლებულ პუნქტებსაც (ბოლნისი, დმანისი და სხვა).

ხაშურ-სურამის რეგიონში ლეკიანობასთან დაკავშირებით არაერთი ასეთი ლეგენდაა გავრცელებული. ამ თქმულებებში გადმოცემულია უდავოდ ისტორიული სინამდვილე, ოღონდ ლეგენდის სამოსელში გახვეული.

ქართველი ხალხი, როგორც აღვნიშნეთ, თავიდანვე არ შერიგებია ოსმალთა გაბატონებას და ხშირად აწყობდნენ აჯანყებებს მათ წინააღმდეგ. ამ ბრძოლამ XVIII ს-ის 30-იან წლებში უფრო ფართო ხასიათი მიიღო. ამას თან დაერთო ირანის გააქტიურება ოსმალეთის წინააღმდეგ და მათი ხელშეწყობით 1734 წლის ბოლოსათვის ქართლი თითქმის მთლიანად იქნა გათავისუფლებული ოსმალებისაგან. სხვა ციხე-სიმაგრეებთან ერთად ამ დროს სურამის ციხე ქართველების ხელში გადავიდა.

თითქოს ქვეყანას უნდა ამოესუნთქა, რომ ამ დროს ახალი დამპყრობი გამოჩნდა ირანის სახით. თუ გუშინ, ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში ქართლს ირანი ეხმარებოდა, ახლა თავად მოინდომა მისი დაპყრობა და ადვილათაც შეძლო ამის გაკეთება. ქართლის ისტორიაში ამჯერად დაიწყო პერიოდი, რომელიც „ყიზილბაშობის“ სახელწოდებით არის ცნობილი. ირანელებმა მთელი ქართლი დაიკავეს, ცხადია, ზემო ქართლიც. ერთ-ერთ გვიანდელ დოკუმენტში, რომელიც 1784 წლით თარიღდება, ზემო ქართლში ყიზილბაშების დამკვიდრების შესახებ აღნიშნულია, რომ „მერე ყიზილბაშ მოვიდა და ზემო ქართლში მუდამ ჯარი იდგა და არეულობა იყო“.

სურამის ციხესთან დაკავშირებული ბევრი მოვლენა სწორედ ამ პერიოდს - „ყიზილბაშობას“- მიეკუთვნება. როგორც ცნობილია, XVIII საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში ქართლში აჯანყების ალი ავარდა ყიზილბაშების წინააღმდეგ გივი ამილახორის ხელმძღვანელობით. სურამის ციხე, ამ დროს, ქართლის სხვა ციხეებთან ერთად, წარმოადგენდა გივი ამილახორის დასაყრდენს ზემო ქართლში, ხოლო აჯანყების ბოლო პერიოდში ერთადერთ დასაყრდენსაც, სადაც თავად იყო გამაგრებული. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც, სურამის ციხე ოსმალეთისა და სპარსეთის ყურადღების არეალში ხვდება. ერთის მხრივ სპარსეთია დაინტერესებული ციხის რაც შეიძლება სწრაფი დაკავებით, ხოლო მეორეს მხრივ ოსმალეთი მხარს უჭერს რა გივი ამილახორს, ყოველმხრივ ეხმარება მას ციხის გამაგრებაში, ამარაგებს მას არა მარტო საბრძოლო მასალით, არამედ აწვდის სურსათ-სანოვაგეს, ახმარს ცოცხალ ძალას. სპარსეთს სურს რაც შეიძლება მტკიცედ მოიკიდოს ფეხი ქართლში, ხოლო ოსმალეთს სურვილია კვლავ აღიდგინოს თავისი დაკარგული პოზიციები.

სურამის ციხის მედგარმა წინააღმდეგობამ, რომელიც თითქმის სამი წელი გრძელდებოდა, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული როლი ითამაშა ქართლიდან არა მარტო ყიზილბაშების განდევნაში, არამედ სამეფო ხელისუფლების აღდგენაშიც, როგორც ქართლში, ასევე კახეთში.

აჯანყება კი ასე დაიწყო:

ქართლიდან ოსმალების განდევნის შემდეგ, როგორც ზემოთ ითქვა, 1735 წლიდან აქ ირანელები გაბატონდნენ. იმავე წლის ოქტომბერში თბილისში თავად ნადირ-შაჰი მობრძანდა და ქართლის აოხრებას მიჰყო ხელი. ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე ასე გადმოგვცემს ქართლში დატრიალებულ ამბებს: მან (ე.ი. ნადირ-შაჰმა - თ.ლ.) „...დააცია ციხე გორისა, ქალაქს თაბორი, გაუსივა ჯარი არაგვის ერისთავს ბარძიმს, ოთხი ათასი ზემო-ქართლს, ოთხი ათასი-საციციანოს. არაგვის ერისთავის (რეზიდენცია), ანანური და იმას აქეთ-ქსნის ერისთავისა, მონასტერს ქვევით, აწერის-ხევს ქვეით დაატყვევეს, დასწვეს, ზემო-ქართლისა, ვახანიდამ დაწყებული მუხრანამდი ააოხრეს, დაატყვეს, დასწვეს სადგრიდამ სკრამდის დაატყვეს, დასწვეს, შებილწეს ეკკლესია, ყოვლ-გნით გააოხრეს მღვიმე ხატითა და მოროულობითა, წაიყვანეს ქართლიდამ კომლად რვა ასი, ვინ იცის სახლში რამდენი სული იყო. ეს ტყვე ხუთი ათასი საავალიშვილოსი და საციციანოსი, ხუთასი კომლათ და ათასი ტყვე, საერისთოსი. ხუთასი ტყვე მოსრეს ყმაწვილნი ეროდეს მსგავსად, ჩვილს ყრიდენ და დიდი, რომელიც დავარდის, ცხვირსა და ყურებს აჭრიდიან“.

ოქტომბრის ბოლოს ნადირ-შაჰი კახეთში გადავიდა და აქაც, ქართლის მსგავსად, მოაოხრა ქვეყანა: „...გაუწყრა კახეთს, აყარა სულ კახეთი გაღმა მხარი და გამოღმა, შეაბილწეს ალავერდი...“.

ნადირ-შაჰმა ქართლის გამგებლობა სეფი-ხანს ჩააბარა და უკან გაბრუნდა. სულ მალე მან ახალი გადასახადები შემოიღო, ქართლს ყიზილბაშების სასარგებლოდ სამი ათასი თუმანი უნდა გაეღო და ხუთასი მხედარი გამოეყვანა. ეს მეტად მძიმე მდგომარეობაში აყენებდა ისედაც დაუძლურებულ ქვეყანას, რაც სულ მალე აჯანყების ერთ-ერთ მიზეზად იქცა. ამ ფაქტს ისევ სეხნია ჩხეიძე ასე გადმოგვცემს: „...ზემო ქართველთ ეს ვერ შეძლეს, უკუდგა ქსნის ერისთავი შანშე, ამილახვარი გივი, აბაშიძე ვახუშტი და სულ ზემო ქართლი, გაღმით თარხანი ლუარსაბ და მისი სახლის კაცნი...“ .

მათ გადასახადების შემცირების თაობაზე მოლაპარაკება გამართეს სეფი-ხანთან: „როგორც სხვის ყეენისათვის გვიმსახურებია, ან სამსახური გვდებია, ისე გვიმსახურეთ, ხელმწიფის დიდი ხნის ყმანი ვართო“- აცხადებენ ისინი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მოლაპარაკების დროს სეფი-ხანმა შეძლო, აჯანყებულთა რიგებში გათიშულობა შეეტანა და მათთვის ჩამოეშორებინა ბარძიმ არაგვის ერისთავი, ციციშვილები, ბარათაშვილები, რომლებიც ყიზილბაშების მხარეზე გადავიდნენ.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ნატო გერმანაშვილი - შემოქმედი, რომელიც ქარგვით ხელოვნების საოცარ ნიმუშებს ქმნის

სულ რამდენიმე დღის წინ, ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების საგამოფენო სივრცემ ხელოვან ქალბატონს, **ნატო გერმანაშვილს** უმასპინძლა. თავდაპირველად, გადავწყვიტეთ, მოკლე ინფორმაცია მიგვეწოდებინა ჩვენი მკითხველისთვის გამოფენის შესახებ, თუმცა, გამოფენაზე წარმოდგენილმა ნაქარგობებმა, საინტერესო ქალბატონის ახლოდან გაცნობის სურვილი გაგვიჩინა. როგორც აღმოჩნდა, ეს მისი მეორე გამოფენაა ხაშურში. გამოფენის სტუმრების უმრავლესობა კარგად იცნობს ხელოვან ქალბატონს, მის ღრა და ემოციურ შემოქმედებას, ხედვის თავისუფლებას და სიღრმეებს..

-ბავშვობიდან დედა ქარგავდა, კერავდა, წერდა კიდეც, ალბათ, დედის გავლენაც იყო, ჩემი დაინტერესება. უკვე მეოთხე კლასში მეც ვქსოვდი. კოსტრომაში დავამთავრე ტექნიკური უნივერსიტეტი ქსოვის განხრით. მოხდა ისე, რომ ოჯახი შევქმენი, როცა შვილი პატარა მყავდა, თავისუფალ დროს დავიწყე ქსოვა. ამას მოჰყვა უკვე ქარგვა. შემიძლია ვთქვა, რომ თვითნასწავლი ვარ, მაშინ ძალიან მწირი იყო საქარგი მასალაც და იმ ჟურნალების რაოდენობაც, საიდანაც სწავლა შეიძლებოდა. ჩემი გატაცება, ნელ-ნელა სერიოზულ სახეს იღებდა. ამასობაში დაიხვეწა ტექნიკაც. ამის მერე, როცა ნაქარგების გარკვეული რაოდენობა დამიგროვდა, ფორმაც მივეცი ნამუშევრებს, ჩარჩოშიც ჩავსვი. თავდაპირველად, რა სქემებიც მქონდა, იმ კომპოზიციებს ვქმნიდი.



- როგორ განვითარდით, როგორც მქარგველი?

–საქართველოში დაბრუნების შემდეგ, უკვე ჯვრული ტექნიკა, რომლითაც მანამდე ვქარგავდი, აღარ მაკმაყოფილებდა. თბილისში დავიწყე ისეთი ადამიანის ძებნა, რომელიც სხვა ტექნიკას შემასწავლიდა. ვიპოვე ერთი ქალბატონი, რომელიც თავისი საქმის პროფესიონალი იყო. ვაჩვენე ჩემი ნამუშევრები და უკვე დავიწყეთ ნაფენზე მუშაობა-აქ უფრო თავისუფალი ხარ, როგორც შემოქმედი, შენ ხედვებს, გემოვნებას დებ, ცვლი ფერებს, ძალიან საინტერესოა. ნაფენის შემდეგ, გადავედი ოქრომკედზე. ამ ტექნიკით იქარგება სამეფო ტანსაცმელი, ხატები, საკმაოდ რთული ტექნიკაა და განსაკუთრებულ განათლებასაც მოითხოვს.

- საშუალო სირთულის ნაქარგს რა დრო სჭირდება? ჩვენ დასრულებულ ნამუშევარს ვხედავთ და, ფაქტობრივად, არავის გვაქვს წარმოდგენა, ამის უკან რამხელა შრომაა და რა სირთულეს წარმოადგენს...

– გააჩნია, დღის განმავლობაში რამდენ დროს უთმობ ქარგვას და რა ტექნიკით ქარგავ. ნაფენზე მუშაობა უფრო რთულია, ოქრომკედი ურთულესია ტექნიკურად. ამიტომ რთულია მაგის თქმა. მნიშვნელობა აქვს, იმასაც, რა ტიპის და სირთულის კომპოზიციაზე მუშაობ.



- ვიცი, რომ ნამუშევრების გაყიდვა დღემდე ძალიან გიჭირთ, თუმცა თქვენი ნაქარგების უმეტესობა გაჩუქებულია...

–ძალიან რთული პერიოდები გავიარე ცხოვრებისეულად, ერთი ნამუშევრის გაყიდვით, შემეძლო ბევრი ყოფითი პრობლემა მომეგვარებინა, ვერ შევძელი, ვერ გავიმეტე, თუმცა გამიჩუქებია. ახლა ძალიან გამიჭირდება უკვე გაჩუქება. ერთი პერიოდი, მქონდა მცდელობა გამეყიდა ნამუშევრები, მაგრამ იმხელა ემოციას ვდებ, იმდენად დიდი შინაგანი რესურსი ჭირდება, დღემდე მიჭირს მისთვის ფასის დადებაც და გაყიდვაც.

- როგორც ვიცი, ეს თქვენი პირველი გამოფენა არაა...

–2006 წელს მქონდა პირველი პერსონალური გამოფენა ხაშურში, სადაც ბევრად მეტი ნამუშევარი მქონდა წარმოდგენილი, იქიდან, ბევრი გაჩუქებული მაქვს დღეს. როდესაც ჩემმა მეგობარმა კოსტრომიდან დაბრუნების შემდეგ, პირველად ნახა ჩემი ნამუშევრები, ძალიან მთხოვა, გამეზიარებინა ჩემი შემოქმედება საზოგადოებისთვის. პატარა გამოფენები თბილისშიც ეწყობოდა, სადაც ვიღებდი მონაწილეობას. ქარგვის წრეზე, სადაც მე, როგორც პროფესიონალი დავიხვეწე, დღეს ვართ ქალთა ასოციაციის წევრები წარმოდგენილი, ერთობლივ გამოფენაზე, რომელიც 10 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, ძალიან დიდი გამოხმაურება და მოწონება მოყვა ჩემს ნამუშევრებს. ასევე, ვმონაწილეობდი ფოლკლორის ეროვნულ მუზეუმსა და საქართველოს სხვადასხვა რაიონში გამართულ გამოფენებზე.

- სამომავლოდ, რას აპირებთ?

–ხაშურის მერიის დახმარებით და ხელშეწყობით, იგეგმება ქარგვის შემსწავლელი უფასო კურსების გახსნა, სადაც დაინტერესებულ ადამიანებს გავუზიარებ ჩემს გამოცდილებას. ასევე, ხალხური რეწვის ცენტრის წარმომადგენელს აქვს კომერციული ხასიათის შემოთავაზება. ჩემი მიზანია, რომ უფრო მეტი

ღირებული და ფასეული ნამუშეერები შევქმნა.

მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან ემოციური იყო ეს გამოფენა ჩემთვის, ძალიან დიდი სტიმული და ენერგია მომცა გამოფენის ნახვის შემდეგ წამოსულმა შეფასებებმა. არასდროს მიყვარს საკუთარ თავზე საუბარი, მაგრამ პროფესიონალებს ყოველთვის აღუნიშნავთ, რომ ძალიან სუფთა ნამუშევრებია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ქარგვის დროს.

- თქვენი რომელი ნაქარგი მოგწონთ და გიყვართ ყველაზე მეტად?

–ძალიან მეუხერხულება ჩემს ნამუშევრებზე საუბარი და დღემდე მგონია, რომ კიდევ ბევრი მუშაობა მჭირდება იმისთვის, რომ თვითონ ვიყო კმაყოფილი საკუთარი ნაქარგებით. თუმცა, შეფასებები ძალიან განსხვავდება საკუთარი დამოკიებულებისგან, რაც, როგორც ხელოვანს, ძალიან მახარებს. არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ჩემი სიამაყეა ოქრომკედით შექმნილი ჯვარი. 2007 წელს, საქართველოს მასშტაბით, ჩატარდა გამოფენა, წარმოდგენილი იყო ხახულის კარედის ჯვარი, ამ გამოფენაზე გავხდი ლაურიატი. შიქმნა ბროშურა, სადაც შესულია ჩემი ნამუშევარი. ყველაზე მეტად, მაგით შემიძლია თავის მოწონება.

თ. ჯავახიშვილი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.